დამტკიცებულია

შპს მილენიუმის დირექტორის 2023 წლის

№ 1/88 ბრძანებით

გურამ ბურდილაძე

/_____/

შპს „მილენიუმის“ დამრიგებლის მუშაობის დებულება

2023

მუხლი 1. სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები

1. სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ მიზნებსა და ამოცანებს და შექმნილია „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანების საფუძველზე.
2. ყველა კლასს თავისი დამრიგებელი ჰყავს. მათ კანდიდატურას ამტკიცებს შპს „მილენიუმის“ დირექტორი ბრძანებით.

მუხლი 2. კლასის დამრიგებლის უფლებები

კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება;

ბ) სკოლაში დაიბაროს ბავშვის მშობელი;

გ) ისარგებლოს მასწავლებლის ყველა უფლებით.

მუხლი 3. კლასის დამრიგებელის ვალდებულებები

კლასის დამრიგებელი ვალდებულია:

ა) შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ- დემოგრაფიული მონაცემები;

ბ)რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;

გ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

დ) მოახდინოს მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება;

ე) გამოიკვლიოს მოსწავლის მიერ ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზები და აცნობოს მშობელს;

ვ) საგნის მასწავლებლებისგან პერიოდულად მიიღოს ინფორმაცია მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა და ზოგადი წარმატებების შესახებ;

ზ) დაეხმაროს მოსწავლეს სხვდასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი პროფესიის არჩევაში;

თ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

ი) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

კ) მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს სკოლის დირექციას;

ლ) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

მ) ჩაატაროს მშობელთა და მოსწავლეთა კრებები;

ნ) საჭიროების შემთხვევაში მშობელს გაუგზავნოს წერილობითი მოწვევა ან დაუკავშირდეს

ტელეფონით;

ო) განახორციელოს საკლასო ოთახში განთავსებული ინვენტარის მოვლა-პატრონობა;

პ) საგაკვეთილო პერიოდში სკოლიდან გასვლა შეათანხმოს სკოლის დირექტორთან ან მისი არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილესთან;

ქ) აწარმოოს დამრიგებლის პორტფოლიო;

რ) მოაწესრიგოს თავის სადამრიგებლო კლასისა და მოსწავლეების დოკუმენტაცია;

ს) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

ტ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.

მუხლი 4. სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპები

1. სადამრიგებლო საათის პროგრამა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

ა) **აღზრდის მთლიანობა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართულია პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სააღმზრდელო მუშაობის მთავარი პრინციპი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;

ბ) **შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდა** – ყველა ბავშვი უნიკალურია. ისინი დაჯილდოებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად, დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) **მოსწავლეთა ჩართულობა** – ეს პრინციპი ხელს უწყობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარებას. დამრიგებელი, მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად, საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (სასკოლო ოლიმპიადები, გეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელი მაქსიმალურად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. ამგვარი ჩართულობა მოსწავლეებს დაეხმარება დამოუკიდებლად მოაგვარონ ცხოვრებაში წამოჭრილი სირთულეები და ხელს შეუწყობს მათ თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებას;

დ) **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ემყარება თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. დამრიგებლის მუშაობის მიზანია კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა.

ე) **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** –დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა.

ვ) **მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება** – დამრიგებელი მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (გეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგავრებაში. დამრიგებელი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინტერესებს.

2. დაწყებით საფეხურზე (I–IV კლასები) ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე – არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა

უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით. კითხვის უნარის განვითარება დამრიგებელმა უნდა განახორციელოს შემდეგი მეთოდებით:

- ✔ კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ✔ წაკითხულის განხილვა–გააზრებით;
- ✔ ანალიზის უნარის განვითარებით;
- ✔ მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ✔ პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ✔ შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

მუხლი 5. სადამრიგებლო სასაუბრო თემები

1. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე:

ა) პიროვნული და სოციალური განვითარება – მე – პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თანამშრომლობის მნიშვნელობა, ცნება „თანაკლასელი“, წამოჭრილი პრობლემები და მათი მოგვარების გზები, კონფლიქტის მოგვარების უნარების განვითარება, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება, სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის პატივისცემა;
ბ) გარემოსდაცვითი კულტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი – ბუნების ბიოლოგიური, ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ინტერაქციის შედეგად გავაგებინოთ მოსწავლეებს მისი კომპლექსურობა. აღნიშნული დაეხმარება მათ შეიძინონ ცოდნა,
ღირებულებები, დამოკიდებულებები და პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა პასუხისმგებლობით და ეფექტურად შეიტანონ წვლილი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში;
გ. მოქალაქეობრივ–პატრიოტული ცნობიერება – ჩემი ეზო, ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი, ჩემი სამშობლო, ისტორია, ტრადიციები, წესები და კანონები;
დ. თვალსაწიერის გაფართოება –ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა;
ე. მეწარმეობის უნარების განვითარება– ასაკის შესაბამისი ბიზნეს უნარების განვითარება და ა.შ.
ვ. უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია – შევქმნათ სკოლაში უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. ხელი შევუწყოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ავიცილოთ თავიდან დისკრიმინაცია.
2. სადამრიგებლო საუბრები შესაძლოა შედგეს როგორც კლასში/სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც (მაგ., ექსკურსიაზე ან მუზეუმის დათვალიერებისას).

მუხლი 6. აქტივობები
დამრიგებელმა შესაძლებელია განახორციელოს შემდეგი
აქტივობები: ა) სასწავლო–შემოქმედებითი ექსკურსიები;

ბ) მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები; გ)
შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები;
დ) შიდასასკოლო კონკურსების, შეხვედრებისა და გამოფენების
მოწყობა; ე) სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 7. სადამრიგებლო კლასის მოწყობა

1. დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას, მინიმუმ ერთი კვირით ადრე, მოაწყოს თავისი სადამრიგებლო კლასი.
2. კლასის მოწყობა გულისხმობს არა მარტო საკლასო ოთახის გაფორმებას, არამედ სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტაციის გამოკვრას თვალსაჩინო ადგილას.
3. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✔სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✔სადამრიგებლო პროგრამა;
- ✔ბიბლიოთეკის დებულება;
- ✔ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ✔სკოლის შინაგანაწესი;
- ✔მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- ✔გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა;
- ✔ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ✔ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები;
- ✔სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა (კრიტერიუმები);
- ✔სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 8. ცვლილების შეტანა

1. სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს შპს „მილენიუმის“ დირექტორი ბრძანებით.
2. სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.